საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი ბულვარი ძველ 46 50 08, ფაქსი: 46 50 08, E-mail:ccucgzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

მ. ა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 39

„ 14 ” 02 2006 წ.

საერთო მონაცემები

1. საქმიანობის კატეგორია – პირველი
2. პროექტის დასახელება – ასფალტო-ბეტონის ქარხანა
3. ინვესტორის დასახელება და მისამართი –შპს „გზა - 2002 “ მცხეთის რაიონი, სოფ. ძეგვი
4. განხორციელების ადგილი –მცხეთის რაიონი, სოფ. ძეგვი
5. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 02. 11. 05.
6. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 29 1/58

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „გზა-2002"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ასფალტო-ბეტონის ქარხნის" პროექტით საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვში, სამრეწველო და სატრანსპორტო მაგისტრალების მახლობლად. საწარმო განთავსებულია საზოგადოების საკუთრებაში არსებულ 0.3 ჰა ფართობზე და დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 1კმ-ზე მეტი მანძილით; 170 მეტრში მდებარეობს 1 აგარაკი.

საწარმოს საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 90 000ტ/წ. საქმიანობის მიზანია სხვადასხვა ტიპის ასფალტობეტონის ნარევის დამზადება, რისთვისაც გამოიყენება DC-158 ტიპის დანადგარი. ქარხანა იმუშავებს ბუნებრივ აირზე, რომლის მაქსიმალური მოხმარება შეადგენს 200 მ^3/სთ. საწარმოს საქმიანობა გათვლილია საქართველოს სანედლეულო ბაზის გამოყენებაზე.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებული მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ემისიებთან ატმოსფერულ ჰაერში, ნიადაგსა და წყალში.

საწარმოს ტექნოლოგიური სქემიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა არაორგანული მტვერი, ნახშირჟანგი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირწყალბადები, ფენოლი და ნახშირორჟანგი.

საწარმოს საქმიანობისათვის დამუშავებულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გამოფრქვევათა ნორმატივების პროექტი" და „გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში", რომელიც დამტკიცებულია სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურადაა განხილული ატ. ჰაერში ემისიის წყაროები, მოცემულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი დახასიათება და ანგარიში თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის. ამ გაანგარიშებაზე დაყრდნობით დადგენილია საწარმოს მიერ ატ. ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გამოფრქვევათა ნორმატივები და ამ გამოფრქვევათა რეგულირებისა და კონტროლის ღონისძიებანი.

ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ნორმატივების დაცვის უზრუნველსაყოფად აირჰაერნარევის გაწმენდისათვის საწარმოს გააჩნია სამსაფეხურიანი გაწმენდის სისტემა (ღერძული ციკლონი, ჯგუფური ციკლონები და სველი მტვერდამჭერი. გაწმენდის ეფექტურობა შესაბამისად შეადგენს 35%, 95% და 70%).

სველი მტვერდამჭერის ფუნქციონირებისთვის საწარმოში გამოიყენება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა; გზშ ანგარიშის მიხედვით საქმიანობაში გამოყენებული წყლის ხარჯი შეადგენს 16000მ^3/წ, თუმცა გაუგებარია საიდან იღებს ქარხანა აღნიშნული რაოდენობის წყალს. საწარმოს ტექნოლოგიური რეგლამენტიდან გამომდინარე, დაბინძურებული წყლების წარმოშობა და ბუნებრივ წყალსატევში ჩაშვება არ ხდება. ფეკალური წყლებისთვის გამოიყენება ამოსაწმენდი ორმო.

დაგეგმილი საქამიანობისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიაზე სამინისტროს რადიაციული სამსახურის მიერ 12SA მოდელის მიკრორენდგენომეტრის გამოყენებით ჩატარებულია რადიაციული გამოკვლევა და დადგენილია, რომ ჯამური რადიაციული გამოსხივება შეადგენს 8-10 მკრ/სთ, რაც დასაშვებ დონეზე (20-30 მკრ/სთ) გაცილებით ნაკლებია.

საწარმოდან ნიადაგის დაბინძურებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში, რაც პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების დახასიათება, ზემოქმედების შედეგად გამოწვეული გარემოს ახალი მდგომარეობის ანალიზი, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებანი და სხვ.

დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. შენიშვნები

პროექტში მითითებული სტრატეგიის შესაბამისად დამუშავდეს და დამტკიცდეს:

1. მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მითითებით;
   გეგმაში ყურადღება გამახვილდეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხებზე;
2. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მითითებით;
   ორივე გეგმა შეთანხმდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების აღმოსავლეთ ცენტრალურ რეგიონალურ სამმართველოსთან.
3. სანწდან 2.2.1./2.1.1. 000-03 (თავი IX, მუხლი 34) თანახმად ასფალტო-ბეტონის საწარმოებისთვის სანიტარული დაცვის სიდიდე განისაზღვრება 500 მ. ოდენობით. საქმიანობის დაწყებამდე შპს „გზა-2002“ უნდა წარმოადგინოს 170 მეტრში მდებარე მოაგარაკის თანხმობა;
4. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებისთვის ბუნებრივი წყალსატევიდან წყლის აღებაზე აუცილებელია ნებართვა წყალსარგებლობაზე.

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;
2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

V. დასკვნა

შპს „გზა - 2002 "-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ასფალტო-ბეტონის ქარხნის პროექტი"-თ გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მეწარმე წარმოადგენს 170 მ. მდებარე მოაგარაკის თანხმობას.

საქმიანობის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნას წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნები და IV თავში მოყვანილი 1 და 2 პირობა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 წელი დასკვნის გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ნ.შეყრილაძე
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე ნ. შეყრილაძე (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შ.პ.ს. "გზა 2002"

ქ. თბილისი, ხიზამბარელის №11, ს.კ. 200099990, ტ. 5 92 70 70 44

№01 07.12.2015 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრს
ბ-ნ, გ. აგულაშვილს

შ.პ.ს. "გზა 2002"-ის დირექტორის ნიკოლოზ მარანელის და
შ.პ.ს. "გზამშენი-2"-ის დირექტორის თამაზ დადუნაშვილის

ერთობლივი განცხადება

ბატონო გიგლა,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, 2013 წლის 24 სექტემბერს, შ.პ.ს "გზა 2002"-ზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000018, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის წარმოებაზე.

გვსურს ზემოხსენებული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შ.პ.ს. "გზამშენი-2"-ს უვადოდ.

შ.პ.ს. "გზამშენი-2"-ი (ს.კ. 406089646) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა, შეასრულოს და დაიცვას ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზედაც ვაწერთ ხელს.

პატივისცემით,

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 26593
30 12 2015

შ.პ.ს. "გზა 2002"-ს დირექტორი ნ. მარანელი

შ.პ.ს. "გზამშენი-2"-ს დირექტორი თ. დადუნაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060144908549216

ბრძანება №-19

ქ. თბილისი **11 / იანვარი / 2016 წ.**

შპს ,,გზა-2002"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „გზამშენი-2"-სთვის გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გზა-2002"-ის ასფალტის წარმოებაზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძეგვი) გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „გზამშენი-2"-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2006 წლის 14 თებერვლის № 39 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გზა-2002"-ს და შპს „გზამშენი-2"-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გზა-2002"-ზე 2013 წლის 24 სექტემბერს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000018;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გზა-2002"-ის და შპს „გზამშენი-2"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა № 7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000191

კოდი MD 1

„ 12 “ „ იანვარი “ 2016

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „გზაშენი-2“

2. საქმიანობის მიზანი

ასფალტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

შპს „ეკოლიბერტი“

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №39 14.02.2006

7. ნებართვის პირობები ნებართვა ძოქმედებს სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი
თამარ მარუაშვილი

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო